გერმანელთა ნაკვალევი სამხრეთ კავკასიაში

german cooperation
DEUTSCHE ZUSAMMENARBEIT

Implemented by:
giz Deutsche Gesellschaft für Internationale Zusammenarbeit (GIZ) GmbH

azerbaijan
AZERBAIJAN.TRAVEL

Georgia

გამომცემელი:

გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ),
გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობისა და
განვითარების ფედერალური სამინისტროს (BMZ) სახელით

რეგისტრირებული ოფისები

ბონი და ეშბორნი, გერმანია
T +49 61 96 79-0
F +49 61 96 79-11 15
E info@giz.de
I www.giz.de

კერძო სექტორის განვითარება და პროფესიული განათლება სამხრეთ კავკასიაში

რუსთაველის გამზირი Nr.42 / გრიბოედოვის ქუჩა 31ა, 0108 თბილისი, საქართველო
T +995 32 2201833
E giz-georgia@giz.de
I www.giz.de

ტექსტი: ნესტან თათარაშვილი

რედაქცია: იულია ვიტვერი

დიზაინი: მამუკა ტყეშელაშვილი, თამაზ ჩხაიძე

ფოტომასალა: ზურაბ ცერცვაძე, კავკასიურ-ევროპული კულტურისა და
მეცნიერების ასოციაცია EuroKaukAsia, სამხრეთ კავკასიაში
გერმანული კულტურული მემკვიდრეობის დაცვის კავშირი

GIZ-ი პასუხისმგებელია ამ პუბლიკაციის შინაარსზე.

ეს პუბლიკაცია შეიქმნა პროფ. დოქტ. ოლივერ რაისნერისა (ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი) და სამხრეთ კავკასიაში გერმანული კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ასოციაციის მხარდაჭერით.

გერმანელთა ნაკვალევი სამხრეთ კავკასიაში

ჩვენს დროში მიგრაცია ყოველდღიურ და მასშტაბურ ფენომენს წარმოადგენს. ბოლო ათწლეულების განმავლობაში კავკასიის ქვეყნებიდან უამრავი ადამიანი წავიდა ევროპასა და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში. XIX საუკუნის დასაწყისში კი ყველაფერი პირიქით იყო: ევროპელები ჩამოდიოდნენ სამხრეთ კავკასიაში საცხოვრებლად და სამუშაოდ. ამ დროისათვის, დაპყრობითი ლაშქრობების შედეგად, რუსეთის იმპერიის საზღვრებმა თითქმის წინა კავკასიამდე გადმოიწია. აღნიშნულ პროცესს საფუძველი ჯერ კიდევ XVIII საუკუნეში, ეკატერინე დიდის (1729-1796) დროს ჩაეყარა. მისი ბრძანებით, არა მხოლოდ სამეცნიერო კვლევებს აწარმოებდნენ იმპერიის შორეულ რეგიონებში, არამედ ახლად დაპყრობილ ტერიტორიებზე უცხოელთა განსახლებასაც ახორციელებდნენ. 1762-64 წლების ეგრეთ წოდებული მოწვევის მანიფესტებით ჩამოყალიბდა მომავალი კოლონიზაციის სამართლებრივი ჩარჩო, ახალმოსახლეთა უფლებებითა და მოვალეობებით. ასე დაიწყო მიგრანტების - უმთავრესად გერმანელთა - დასახლება რუსეთის იმპერიაში.

პირველი გერმანული სოფლები გაჩნდა მდინარე ვოლგის სანაპიროებზე, მოგვიანებით კი უკვე შავი ზღვის რეგიონში, ყირიმში, ბესარაბიაში, ოდესის ირგვლივ და კავკასიის მახლობლად. 1801 წელს პავლე I-ის (1754-1801) მიერ ქართლ-კახეთის სამეფოს ანექსიას მოჰყვა ალექსანდრე I-ის დროს (1777-1825 წწ.) დასავლეთ საქართველოში სამთავროების პროტექტორატი, ასევე სხვა სამთავროების, მაგალითად გენჩეს (იგივე ბაქო დღევანდელ აზერბაიჯანში) ანექსია. ასე გამოცოცხლდა ალექსანდრე I-ის იმპერატორობის დროს ეკატერინე დიდის გეგმა განსახლების პოლიტიკის შესახებ. 1804 წლის მანიფესტმა გამკაცრებული მოთხოვნები წაუყენა ახალმოსახლეებს. ისინი უნდა ყოფილიყვნენ სანიმუშო გლეხები: საუკეთესო მეღვინეები, აბრეშუმის მწარმოებლები, მესაქონლეები ან ხელოსნები, ასევე მინიმალური საკუთრების მფლობელები და ჰყოლოდათ ცოლ-შვილი. 1817-18 წლებში სამხრეთ კავკასიაში, ახლანდელ საქართველოსა და აზერბაიჯანში, სწორედ ასეთ პირობებში დაარსდა გერმანული სოფლები.

1762-63 წლების მოწვევის მანიფესტი

1762 წლის 14 ოქტომბერი
ეკატერინე II-ის "უკაზი" სენატს:

„რადგან რუსეთში ბევრი უნაყოფო, დაუსახლებელი რაიონია და ბევრი უცხოელი გვთხოვს ამ უდაბურ ადგილებში დასახლების ნებართვას, ამ "უკაზით" ჩვენ ერთხელ და სამუდამოდ ვაძლევთ ჩვენს სენატს უფლებამოსილებას, კანონების შესაბამისად და საგარეო საქმეთა კოლეგიასთან შეთანხმებით - რადგან ეს პოლიტიკური საკითხია - მომავალში მიიღოს ყველა, ვისაც სურს რუსეთში დასახლება, გარდა ებრაელებისა. ამით ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ გავზრდით ღვთისა და მისი მართლმადიდებლური ბერძნული ეკლესიის დიდებას, ასევე იმპერიის კეთილდღეობას".

1763 წლის 22 ივლისი



Von GOttes Gnaden
Wir Catharina die Zweyte,
Kayserin und Selbstherrscherin aller Reußen,
zu Moscau, Kiow, Wladimir, Nowgorod, Zaarin zu Casan, Zaarin zu Astrachan, Zaarin zu Sibirien, Frau zu Pleskau und Großfürstin zu Smolensko, Fürstin zu Esthland und Liefland, Carelen, Twer, Jugorien, Permien, Wiatka, Bolgarien und mehr andern; Frau und Großfürstin zu Nowgorod des Niedrigen Landes, zu Tschernigow, Resan, Rostow, Jaroslaw, Beloeserien, Udorien, Obdorien, Condinien, und der ganzen Nord-Seite Gebieterin und Frau des Iverischen Landes, der Cartalinischen und Grusinischen Zaaren und des Cabardinischen Landes, der Tscherkaßischen und Gorischen Fürsten und mehr andern Erb-Frau und Beherrscherin.

Da Uns der weite Umfang der Länder Unsers Reiches zur Gnüge bekannt; so nehmen Wir unter andern wahr, daß keine geringe Zahl solcher Gegenden noch unbebauet liege, die mit vortheilhafter Bequemlichkeit zur Bevölkerung und Bewohnung des menschlichen Geschlechtes nutzbarlichst könnte angewendet werden, von welchen die meisten Ländereyen in ihrem Schooße einen unerschöpflichen Reichthum an allerley kostbaren Erzen und Metallen verborgen halten; und weil selbige mit Holzungen, Flüssen, Seen und zur Handlung gelegenen Meeren genugsam versehen, so sind sie auch ungemein bequem zur Beförderung und Vermehrung vielerley Manufacturen, Fabriken und zu verschiedenen andern Anlagen. Dieses gab Uns Anlaß zur Ertheilung des Manifestes, so zum Nutzen aller Unserer getreuen Unterthanen den 4ten December des abgewichenen 1762sten Jahres publiciret wurde. Jedoch, da Wir in selbigem denen Ausländern, die Verlangen tragen würden sich in Unserm Reiche häuslich niederzulassen, Unser Belieben nur summarisch angekündiget; so befehlen Wir zur bessern Erörterung desselben folgende Verordnung, welche Wir hiemit aufs feierlichste zum Grunde legen, und in Erfüllung zu setzen befehlen, jedermänniglich kund zu machen.

1.

Verstatten Wir allen Ausländern in Unser Reich zu kommen, um sich in allen Gouvernements, wo es einem jeden gefällig, häuslich niederzulassen.

2.

Dergleichen Fremde können sich nach ihrer Ankunft nicht nur in Unserer Residenz bey der zu solchem Ende für die Ausländer besonders errichteten Tutel-Canzelley, sondern auch in den anderweitigen Gränz-Städten Unsers Reichs nach eines jeden Bequemlichkeit bey denen Gouverneurs, oder, wo dergleichen nicht vorhanden, bey den vornehmsten Stadts-Befehlhabern melden.

3.

Da unter denen sich in Rußland niederzulassen Verlangen tragenden Ausländern sich auch solche finden würden, die nicht Vermögen genug zu Bestreitung der erforderlichen Reisekosten besitzen: so können sich dergleichen bey Unsern Ministern und Residenten an auswärtigen Höfen melden, welche sie nicht nur auf Unsere Kosten ohne Anstand nach Rußland schicken, sondern auch mit Reisegeld versehen sollen.

4.

So bald dergleichen Ausländer in Unserer Residenz angelanget und sich bey der Tutel-Canzelley oder auch in einer Gränz-Stadt gemeldet haben werden; so sollen dieselben gehalten seyn, ihren wahren Entschluß zu eröffnen, worinn nemlich ihr eigentliches Verlangen bestehe, und ob sie sich unter die Kaufmanschaft oder unter Zünfte einschreiben lassen und Bürger werden wollen, und zwar nahmentlich, in welcher Stadt; oder ob sie Verlangen tragen, auf freyem und nutzbarem Grunde und Boden in ganzen Colonien und Landflecken zum Ackerbau oder zu allerley nützlichen Gewerben sich niederzulassen,

X

პირველი გერმანელი მიგრანტები: პიეტისტები ვიურთემბერგიდან

1803-4 წლებში მიგრანტებმა ბადენიდან და ვიურთემბერგიდან შავი ზღვისკენ აიღეს გეზი. ვიურთემბერგის სამეფო ოჯახთან ნათესაური კავშირების გარდა, რუსეთის იმპერიაში დიდ იმედებს ამყარებდნენ პრობლემურ რეგიონში ეკონომიკური ძალაუფლების მქონე ქრისტიან ახალმოსახლეებზე. ვიურთემბერგის მხარიდან ემიგრაცია ძირითადად განპირობებული იყო ნაპოლეონის ომებით გამოწვეული მძიმე პოლიტიკური და ეკონომიკური პირობებით. ნგრევამ, საჯარისო ნაწილების კერძო სახლებში შესახლებებმა, გადასახადების გაზრდამ, უმუშევრობამ, ახალგაზრდების სამხედრო სამსახურში გაწვევამ და ქორწინების საკითხებში დაწესებულმა შეზღუდვებმა - გამოიწვია მოსახლეობის გაღატაკება. 1815 წელს კუნძულ სუმბავაზე (ახლანდელი ინდონეზია) ვულკან ტამბორას ამოფრქვევამ უარყოფითად იმოქმედა კლიმატზე, რასაც მოჰყვა მცირემოსავლიანობა, შიმშილი და სიტუაციის კიდევ უფრო გამწვავება. მარტო 1816 წელს 20 000-მა ადამიანმა დატოვა სამშობლო. ბევრი ემიგრანტი ჩრდილოეთ ამერიკაში გაემგზავრა, ხოლო მათი უმეტესობა, ვინც სამხრეთ რუსეთი და კავკასია აირჩია, პიეტისტთა წრეებიდან იყო. ამას თავისი საფუძვლიანი მიზეზი ჰქონდა: ევანგელურ-ლუთერულ საეკლესიო მსახურებაში განხორციელებულმა რეფორმებმა ვიურთემბერგის ეკლესიაში გამოიწვია რელიგიური პროტესტი პიეტისტ „სეპარატისტებს“ შორის. შედეგად, ისინი დაშორდნენ ევანგელურ-ლუთერულ ეკლესიას და იდევნებოდნენ სახელმწიფოს მიერ. რუსეთის იმპერიის დაპირებამ მათ ხელსაყრელ დროს მოუსწრო: იმპერია მიგრანტებს სთავაზობდა მათთვის ხელმისაწვდომი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების გადაცემას, სამხედრო სავალდებულო სამსახურიდან და ყველანაირი გადასახადისგან ათი წლით განთავისუფლებას, და იმას, რაც პიეტისტებისთვის მთავარი სტიმული იყო სამხრეთ კავკასიაში ემიგრაციისთვის: სრული რელიგიური თავისუფლების უზრუნველყოფას.

პირველი გერმანელები - 31 შვაბური ოჯახი ვიურთემბერგიდან - თბილისში 1817 წლის 21 სექტემბერს ჩამოვიდა. მათ მიიღეს მიწა სოფელ სართიჭალასთან და თავიანთ დასახლებას მარიენფელდი დაარქვეს, ფრიდრიხ დიდის დისა და ალექსანდრე I-ის დედის, მარია ფიოდოროვნას (მართლმადიდებლად მონათვლამდე სოფო დოროთეე ფონ ვიურთემბერგის სახელით ცნობილი) საპატივსაცემოდ. მარიენფელდი იყო სწორედ პირველი გერმანული დასახლება ახლანდელ საქართველოსა და მთელ სამხრეთ კავკასიაში.

ქუჩა ბოლნისში

მოწვევის მანიფესტთა შინაარსი

მოწვევის მანიფესტი, რომელიც რამდენჯერმე შეიცვალა, მოიცავს შემდეგ საკითხებს:

- *თითოეულს პირადი თავისუფლება;*
- *რუსეთის იმპერიის ფარგლებში ნებისმიერ ადგილას უფასო განთავსება;*
- *რელიგიის თავისუფლება და საკუთარი ეკლესიის აშენების უფლება;*
- *გვირგვინისადმი ადგილობრივი თვითმმართველობის პირდაპირი დაქვემდებარება და რუსეთის ნებისმიერ დროს დატოვების უფლება;*
- *სამხედრო სამსახურიდან გათავისუფლება, მოხალისეებისთვის 30 მანეთის მიცემა;*
- *ყოველგვარი გადასახადისგან გათავისუფლება - მომსახურების გადასახადი იქნება ეს თუ საცხოვრისისა - 30 წლით (ქალაქში დასახლების შემთხვევაში - 5-10 წლით); შემდგომში ჩვეულებრივი აღსრულება როგორც გადასახადებისა, ისე სასოფლო-სამეურნეო მომსახურებისა;*
- *სესხების გაცემა სახლის მშენებლობისთვის (10 წლის შემდეგ დაბრუნება პროცენტის გარეშე);*
- *სამგზავრო თანხის გაცემა რუსეთის საზღვრიდან დასახლების ადგილამდე;*
- *კოლონისტებისთვის მიწის გადაცემა არა კერძო საკუთრების, არამედ კოლონიის საერთო საკუთრების უფლებით;*
- *უმცროსი ვაჟისთვის მემკვიდრეობის უფლება მეფის მიერ გამოყოფილ მიწაზე;*
- *კერძო პირებისგან საკუთრების შეძენის ნებართვა მეურნეობის გასაუმჯობესებლად.*

რვა დასახლების დაარსება საქართველოსა და აზერბაიჯანში

1817 წლის აპრილიდან აგვისტომდე ულმში შეიკრიბა ემიგრაციაში წასვლის მსურველი შვაბების კიდევ 1400-მდე ოჯახი, რომლებიც, როგორც „წმინდა წერილში“ ვკითხულობთ (მოციქულთა საქმენი, თავი 4:32), "ჰარმონიად" წოდებულ ჯგუფებად შეიკვრნენ და საგანგებოდ საკუთარი ხელით აგებული გემებით, ეგრეთ წოდებული „ულმური კიდობნებით", დუნაის გავლით რუსეთის იმპერიისკენ დაადგნენ გზას. მოგზაურობისას გერმანელთა ნაწილი დაიღუპა. ცოცხლად გადარჩენილი ოჯახებიდან ბევრმა საცხოვრებლად მდინარე დუნაის სანაპირო ან სამხრეთ რუსეთი აირჩია, ხოლო 500-მდე შვაბურმა ოჯახმა, რომლებმაც ოდესამდე უვნებლად ჩააღწია, კავკასიის მიმართულებით - "ხსნის ადგილისაკენ" - მოისურვა წასვლა. მათ მიიღეს მეფის თანხმობა და 1818 წლის შემოდგომაზე 10 კოლონის სახით ეტაპობრივად მოაღწიეს სამხრეთ კავკასიამდე. თბილისიდან კი მიგრანტების გარკვეულმა ნაწილმა უფრო აღმოსავლეთით, ელიზავეტპოლში („Gändschä“ 1804 წლამდე) გადაინაცვლა.

სამხრეთ კავკასიაში 1819 წლისთვის გაჩნდა რვა გერმანული დასახლება, ეგრეთ წოდებული „დედა კოლონიები“.

ახლანდელ საქართველოს ტერიტორიაზე დაარსდა:

1817 წელი: **მარიენფელდი** (ახლანდელი სართიჭალა გარდაბნის მუნიციპალიტეტში);

1818 წელი: **ახალი ტიფლისი** (ახლანდელი აღმაშენებლის პროსპექტი და მისი მიმდებარე ქუჩები თბილისში);

ალექსანდერსდორფი (ახლანდელი წყალტუბოს, სამტრედიისა და აგლაძის ქუჩები თბილისში, დიდუბის ტერიტორიაზე);

ელიზაბეტთალი (ახლანდელი სოფელი ასურეთი თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში);

1819 წელი: **პეტერსდორფი** (სოფელი სართიჭალა გარდაბნის მუნიციპალიტეტში).

ახლანდელ აზერბაიჯანის ტერიტორიაზე დაარსდა:

1818 წელი: **ძველი კატარინენფელდი** (შამქორთან - მიტოვებულ იქნა ახალი კატარინენფელდის დაარსების გამო, ახლანდელი ბოლნისი, საქართველო);

1818 წელს: **ანენფელდი** (ახლანდელი შამქორი) და ჰელენენდორფი (ახლანდელი გოიგოილი).

ფახვერკის სტილის სახლი ასურეთში

მუნიციპალიტეტების ორგანიზაცია ახალ სამშობლოში

ჩამოსახლებულთა უმრავლესობას ფერმერები შეადგენდნენ, თუმცა მათ შორის იყვნენ სხვადასხვა პროფილის ხელოსნებიც, რომელთა ნაწილიც თბილისში, მდინარე მტკვრის მარცხენა სანაპიროზე დასახლდა. ფერმერთა თითოეულ ოჯახს 35 ჰექტარი მიწა გადაეცა, ხელოსნებს კი მხოლოდ ერთი ჰექტარი. რუსეთის მთავრობის ფინანსური მხარდაჭერის გარდა, კოლონისტებმა მიიღეს სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი და პირუტყვი. მთავრობამ მათ უსაფრთხოებაზეც იზრუნა და თავდასხმებისგან დასაცავად კაზაკები მიუჩინა. კოლონიებს გააჩნდათ თვითმმართველობები, რომლებიც შედგებოდა მერის (სოფლის მოსამართლე), ორი მსაჯულისა და მდივნისაგან. ისინი ექვემდებარებოდნენ საკუთარ სამართლებრივ ნორმებს და პასუხისმგებელნი იყვნენ ადმინისტრაციის ეფექტურობასა და კომპანიების პროდუქტიულობაზე. კოლონიებს ჰყავდათ ასევე, მთავრობის მიერ წარგზავნილი ჩინოვნიკი, რომელსაც ევალებოდა ეკონომიკური, სოციალური, კულტურული და სოფლის თემში არსებული საკითხებისა და პრობლემების მოგვარება. ჩამოსახლებულმა გერმანელებმა განავითარეს სოფლის მეურნეობის ისეთი დარგები, როგორებიცაა: მევენახეობა, მიწათმოქმედება, მებოსტნეობა, მესაქონლეობა და მეფუტკრეობა.

სამხრეთ კავკასიის კოლონიების რწმენა და რელიგიური ავტონომიურობა

ემიგრანტების დაახლოებით 25 პროცენტისთვის ძველი ვიურტემბერგული პიეტიზმის ერთგულება იყო სამშობლოს დატოვების მნიშვნელოვანი მიზეზი. რწმენა და რელიგიური ავტონომიურობა სამხრეთ კავკასიის კოლონიების სულიერი და კულტურული ცხოვრების მახასიათებლად დარჩა.

„ზნეობის დაცემის“ თაობაზე გოდება-ჩივილის შემდეგ, სამმა ბაზელელმა მისიონერმა, კერძოდ კი ცარემბამ, ბენცმა და დიტრიხმა, რომლებიც მჭიდრო კავშირში იყვნენ ვიურტემბერგის სხვადასხვა დამხმარე ორგანიზაციებთან, 1823 წელს თავის თავზე აიღო კოლონიებში რელიგიური საკითხების ორგანიზება.

1743 წლის ძველი ვიურტემბერგული საეკლესიო წესრიგისა და სეპარატისტული პრინციპების საფუძველზე შეიქმნა პირველი „საეკლესი წესრიგი ამიერკავკასიის კოლონიებისთვის“. ამასთან, ამიერკავკასიის სინოდის 1836 წლის გადაწყვეტილება ევანგელურ-ლუთერული საეკლესიო კანონის მიღების შესახებ, დანართში კვლავაც ითვალისწინებდა შესაბამის წესს საკუთარი ტრადიციისა და განსაკუთრებული სტატუსის შენარჩუნების თაობაზე, რასაც 1841 წელს რუსეთის მეფის ოფიციალური დასტურიც მოჰყვა. ტფილისისა და ბაქოს მუნიციპალიტეტები დაექვემდებარა მოსკოვის კონსისტორიას, ხოლო კოლონისტურმა გაერთიანებებმა შეინარჩუნეს განსაკუთრებული სტატუსი. მათ ასოციაციას ხელმძღვანელობდა სინოდი (რომელიც პასტორებისა და საერო წევრებისგან შედგებოდა) უფროს პასტორთან ერთად. ისინი ასევე ექვემდებარებოდნენ შინაგან საქმეთ სამინისტროსა და კოლონისტურ და ურბანულ ლუთერანულ გაერთიანებებს სამხრეთ კავკასიაში, რომელთა შორისაც ხშირად ხდებოდა კონფლიქტები.

ევანგელურ-ლუთერული ეკლესია ასურეთში

სამშენებლო კულტურა და დასახლების სტრუქტურა

კოლონისტები პირველ ათწლეულებში თავდაპირველად ცარისტული ჯარებისა და ადგილობრივი მოსახლეობის მიერ აშენებულ პატარა ქოხებში ცხოვრობდნენ. არქიტექტურული ისტორიის მიხედვით, შემდეგ ეს ქოხები შეცვალა, ძირითადად, ერთსართულიანმა საცხოვრებელმა და სამეურნეო დანიშნულების ნაგებობებმა, რომლებიც ადგილობრივი მუშახელის დახმარებით აშენდა. საჭირო სამშენებლო მასალას, კრამიტის ჩათვლით, თავად კოლონიების მაცხოვრებლები აწარმოებდნენ. შიდა სამუშაოებს გერმანელი ხელოსნები ასრულებდნენ. დღევანდელი კირდუღაბიანი ფუნდამენტისა და ფახვერკიანი კონსტრუქციის მქონე ორსართულიანი სახლების მშენებლობა, რომლებსაც მოგვიანებით აივნები და ვერანდები დაემატა, 1870-1880-იან წლებში განვითარდა. სამხრეთ გერმანული და კავკასიური, ქართული ტრადიციული არქიტექტურის ელემენტების შერევამ ეს შენობები კულტურათა დიალოგის სანიმუშო მაგალითებად აქცია. შვაბური სამშენებლო ტრადიციების გათვალისწინებით ამ სახლებს მაღალი სხვენი, ფახვერკული დეტალები და ღრმა, ხშირად სხვადასხვა დონეზე განთავსებული რამდენიმეოთახიანი სარდაფები აქვთ, ქართულ იერს კი მათ რიკულებიანი თუ ჭვირული მოაჯირებით შემკული ხის ნატიფი აივნები სძენს. სხვენში მარცვლეულს ინახავდენ, სარდაფი კი რძის პროდუქტების, კონსერვებისა და ღვინის შესანახად გამოიყენებოდა.

ყველა დახურულ ეზოს, როგორც წესი, ჰქონდა საზაფხულო სამზარეულო, სადგომი, ნახევრად ღია ფარდული საზიდრისათვის და ბაღი. შენობების გასწვრივ გადიოდა ორი მეტრი სიგანის საცალფეხო ბილიკი, რომელსაც ფართო ქუჩისგან ჰყოფდა ვიწრო, ქვით მოპირკეთებული წყლის არხი. სახლის მესაკუთრე ვალდებული იყო არხის ჩაყოლებაზე ხეები დაერგო. კოლონიებში თავიდანვე არსებობდა ქუჩების რეგულარული გეგმარება - ურთიერთპარალელურ და ურთიერთპერპენდიკულარულ ქუჩათა სისტემა. ერთ-ერთ ცენტრალურ ადგილზე თავმოყრილი იყო ადგილობრივი ადმინისტრაცია, ეკლესია, სკოლა, მაღაზიები და სხვა საზოგადოებრივი დანიშნულების შენობა-ნაგებობები. ემიგრაციაში წასვლიდან სულ რამდენიმე წლის შემდეგ, გერმანელებისათვის, რომლებიც ემიგრაციაში განსაკუთრებული უფლებებით იყვნენ აღჭურვილნი -

გამოჩნდა ევანგელურ-ლუთერულ ეკლესიაში უკან დასაბრუნებელი გზა: 1836 წლის გადაწყვეტილება ევანგელურ-ლუთერული საეკლესიო კანონის მიღების შესახებ, კვლავ ითვალისწინებდა დანართში კოლონიების თემთა განსაკუთრებულ პოზიციას პიეტისტური ტრადიციის შენარჩუნებით. პირველი ეკლესიის მშენებლობა გერმანელებმა 1828 წელს დაიწყეს „ახალ ტიფლისში“ - თბილისის გერმანულ კოლონიაში, რისთვისაც მთავრობამ სოლიდური თანხა გამოყო. XIX საუკუნის შუა წლებიდან შთამბეჭდავი საეკლესიო ნაგებობები აშენდა კატარინენფელდში (აკურთხეს 1854 წელს), ჰელენენდორფში (აკურთხეს 1857 წელს) და ელიზაბეტთალში (აკურთხეს 1871 წელს). 1890-იან წლებში ახალ თბილისში აგებული წმინდა პეტრე-პავლეს ეკლესია კი დაფინანსებული იყო უკვე თავად გერმანული თემის მიერ. 1899 წელს ბაქოში აკურთხეს ევანგელურ-ლუთერული მაცხოვრის ეკლესია, ხოლო 1909 წელს - ანენფელდის ახალი ეკლესია. 1906 წელს აშენდა ახალი გერმანული ტაძარი ალექსანდერსჰილფშიც (ახლა დაბა თრიალეთი, წალკის მუნიციპალიტეტი), რომლის არქიტექტურა უნიკალურია იმ თვალსაზრისით, რომ მასზე ქართული შუასაუკუნეების საეკლესიო არქიტექტურული დეკორის მკვეთრი გავლენა იგრძნობა.

აღმავლობა და პირველი კეთილდღეობა

სოფლის მეურნეობის, უპირველეს ყოვლისა კი, მევენახეობისა და მეცხოველეობის დარგების განვითარებამ ეკონომიკური აღმავლობა გამოიწვია. 1870-იანი წლებიდან უკვე მკვეთრად ამაღლდა ჩამოსახლებულთა ცხოვრების დონეც. მთავრობის მიერ ბოძებული მიწა რომ აღარ ჰყოფნიდათ, მალე მათ საკუთარი ხარჯით დაიწყეს ახალი მიწების შეძენა. გერმანელთა ეკონომიკური მდგომარეობა მუდმივად უმჯობესდებოდა, რის გამოც ძველ სამშობლოში დარჩენილი ნათესავებისთვისაც მიმზიდველი გახდა კავკასიის რეგიონში ჩამოსვლა. სწორედ ეს იყო იმის მიზეზი, რომ კოლონიების მოსახლეობა მე-20 საუკუნის დასაწყისში ნახტომისებურად გაიზარდა: თუ 1819 წელს მათი რაოდენობა 2700 იყო, საუკუნის ბოლოს უკვე 12.000 გახდა. გერმანული დასახლებები 1861 წლიდან ალექსანდრე II-ის დროს განხორციელებული დიდი რეფორმების შემდეგ უფრო მჭიდროდ დაუკავშირდნენ ცენტრალურ ადმინისტრაციას. სპეციალური უფლებები, როგორიცაა თვითმმართველობა ან სამხედრო სამსახურისგან გათავისუფლება, 1871-74 და 1884 წლებში გაუქმდა. გერმანული სკოლები თანდათან რუსულ დაწყებით სკოლებად გადაიქცა, თუმცა, ამის მიუხედავად, კოლონისტებმა მაინც შეინარჩუნეს თავიანთი კულტურული იდენტობა.

აგრარულმა რეფორმამ, სატრანსპორტო გზების გაფართოებამ და ინდუსტრიალიზაციამ კოლონისტებს საშუალება მისცა ინვესტიციები განეხორციელებინათ მექანიზაციაში, საკუთარი პროდუქციის დახვეწასა და გაყიდვაში. მაგალითად, რძის პროდუქტების უმსხვილესი მწარმოებელი ალექსანდერ ფონ კუჩენბახი, მამუთლოში (დმანისის მუნიციპალიტეტი, სოფელი მთისპირი) მდებარე თავისი მამულიდან თბილისს რძით, კარაქით, ყველითა და თაფლით ამარაგებდა (იხ. საოჯახო პორტრეტი, გვ. 10).

ახალმოსახლეები მხოლოდ მევენახეობისა და სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგის მცოდნენი როდი იყვნენ. მათი საქმიანობა მოიცავდა "ყოველდღიური მოხმარების საქონლის" დანარჩენ სფეროებსაც: ისინი აწარმოებდნენ საზიდრებს, ვარცლებსა და კასრებს, სანაყრეებს, გოდოლებს, საწნახლებს, ნებისმიერ ხელსაწყო-იარაღს, ასევე, ტანსაცმელსა და ფეხსაცმელს. ხელოსნობა დამატებითი შემოსავლის მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენდა გერმანული ოჯახებისთვის, განსაკუთრებით კი ოჯახის იმ წევრებისთვის, რომელთაც არ ჰქონდათ მემკვიდრეობის უფლება (კავკასიელი გერმანელების სამემკვიდრეო სამართალი მემკვიდრეობის უფლებას უმცროს ვაჟს მიაკუთვნებდა). ეს მათთვის აუცილებელი დამატებითი შემოსავალი იყო ზამთარში.

გერმანული ხელოსნობის ტრადიცია და კულტურული ცხოვრება ახალ თბილისში

თბილისში ხელოსნობის აღორძინებაში განსაკუთრებული როლი შეასრულეს გერმანელმა ოსტატ-ხელოსნებმა. მათ სახლებისა და ბაღებისთვის მიწები მიიღეს მდინარე მტკვრის მარცხენა სანაპიროზე,

რთველი გრიუნფელდში, დაახლოებით 1905 წელი (PSA)

ოთხთვლიანი საზიდარი, დაახლოებით 1905 წელი (PSA)

ახალი გერმანული დასახლებების დაარსება მე-20 საუკუნის დასაწყისში

მეოცე საუკუნის დასაწყისში შეიქმნა შვილობილი დასახლებები, რომლებიც მხოლოდ რომელიმე დედობილი კოლონიის წარმომადგენლებისთვის არ იყო წინასწარ გათვლილი. ელიზავეტპოლის გუბერნიაში 1902 წელს დაარსდა ალექსანდერფელდი (ჰასანსუ, აქსტაფა), 1905 წელს - აიგენფელდი (ირმაშლი), 1906 წელს - გრიუნფელდი (ვურგუნ აქსტაფასთან ახლოს), 1912 წელს - ტრაუბენფელდი (თოვრუზი) და 1914 წელს - ელიზაბეტთალი (ჩატაი, აქსტაფას ახლოს). რაც შეეხება საქართველოს, თბილისის გუბერნიაში 1908 წელს დაარსდა ტრაუბენბერგი (ახლანდელი თამარისი მარნეულის მუნიციპალიტეტში), 1909-1910 წლებში - გეორგსტალი (ახლანდელი ძველი ქანდა მცხეთის მუნიციპალიტეტში), 1911 წელს - ვალდჰაიმი (ახლანდელი იფნარი დმანისის მუნიციპალიტეტში). 1920-იან წლებში კი დაარსდა ვიზენდორფი (ახლანდელი ახალი მარაბდა თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში), შტაინფელდი (ახლანდელი ქოთიში თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში) და მარნაული (დღეს - ქ. მარნეული). 1922 წელს დაარსდა გრიუნტალი (ახლანდელი რუისბოლო გარდაბნის მუნიციპალიტეტში) და ჰოფნუნგსტალი (ახლანდელი ახალშენი გარდაბნის მუნიციპალიტეტში), ხოლო 1933-1935 წლებში - ტრაუბენტალი (ახლანდელი ამბარტაფა გარდაბნის მუნიციპალიტეტში) და როზენტალი (ახლანდელი ვარდისუბანი მცხეთის მუნიციპალიტეტში). 1955 წელს, ყაზახეთში დეპორტირებულ გერმანელთა რეაბილიტაციის შემდეგ, რადგან საკუთარ სახლებში დაბრუნების უფლება არ ჰქონდათ, უნინ აზერბაიჯანში მცხოვრები რამდენიმე გერმანული ოჯახი საქართველოში ჩამოვიდა და ასე გაჩნდა 1956 წელს პატარა გერმანული სოფელი ახალი ბოტანიკა (ბოტანიკა გარდაბნის მუნიციპალიტეტში).

აზერბაიჯანში ყოფილი დედობილი და შვილობილი კოლონიების გარდა, სხვა მრავალი გერმანული კვალიც მოიძებნება ქვეყნის დედაქალაქ ბაქოსა და ძმები სიმენსების ყოფილი საოჯახო კომპანიის ქედაბეგის/კალაკენტის გერმანულ ინდუსტრიულ დასახლებებში. ასევე უნდა აღინიშნოს დასახლებებს გარეთ მდებარე მამულები: ჰელენენდორფელი ფორერების საოჯახო ბიზნესის საჩვენებელი მამული კარაერიში (სამუხის რაიონი), შვეიცარიულ-გერმანული ზიგენტალერის ოჯახის პატარა დასახლება ტოდანში (გორანბოი) და საკურორტო ქალაქი ჰაჯიკენტი გოიგოლის ეროვნული პარკისკენ მიმავალ გზაზე.

სოფელ კუკიასთან. დასახლებას „ახალი თიფლისი“ უწოდეს. აქ მცხოვრები გერმანელი მკერავები, მესაათეები, მეწაღეები, მკინძავები და ასოთამწყობები ქართველ ახალგაზრდებსაც ხშირად ამუშავებდნენ შეგირდებად. გერმანელებმა დაამკვიდრეს ქალაქში ევროპული საცხობისა და გერმანული ლუდის ხარშვის ტრადიცია. საქართველოში ყოფნის დროს, თბილისის გერმანულ კოლონიაში მსოფლიოში ცნობილი მრავალი პიროვნება ცხოვრობდა. მათ შორის იყვნენ დიდი რუსი მწერალი ლევ ტოლსტოი და მომღერალი ფიოდორ შალიაპინი, რომელთა შემოქმედებითი კარიერაც სწორედ აქ დაიწყო. ლევ ტოლსტოი 1851 წელს ჩამოვიდა ახალ თიფლისში, ერთ-ერთი გერმანელისგან ბინა იქირავა და აქ დაიწყო თავისი პირველინაწარმოების - "ბავშვობა" - წერა. 1890-იან წლებში მომღერალი ფიოდორ შალიაპინიც გერმანულ კოლონიაში დასახლდა. ის ყოველ საღამოს მღეროდა პარკში. მისი დებიუტი თბილისის ოპერაში შედგა და სწორედ ამ სცენიდან დაიწყო მისი საერთაშორისო კარიერა.

ეკონომიკური დამოუკიდებლობა და შვილობილი დასახლებების დაარსება

რუსეთ-თურქეთის ომმა, რკინიგზის მშენებლობამ და ნავთობის წარმოებამ მე-19 საუკუნის ბოლოს ნახტომისებურად გაზარდა კოლონისტების პროდუქტებზე მოთხოვნა. მათი ხეხილის ბაღები და ვენახები ამარაგებდა ჯარს ჩირით, დაახლოებით 70-მდე შნაპსის ქარხანასა და მარანს ჯარში სანდო მყიდველები ჰყავდა. 13 წისქვილის მიერ წამოებული ფქვილით არა მარტო კოლონიები მარაგდებოდა, არამედ სამხედროებისთვისაც ცხვებოდა ორცხობილა. საპნის, ყველის ქარხნებმა, სადურგლოებმა, სამჭედლოებმა, საზიდრების მშენებლობამ და სხვა პროფესიებმა ასევე შეიტანეს წვლილი სოფლების აყვავების საქმეში. 170 ოსტატი-ხელოსნიდან 64 მარტო ჰელენენდორფში ცხოვრობდა. საზიდრების დამამაზდებლებმა სპარსეთამდეც კი გაითქვეს სახელი. ჰელენენდორფსა და მეზობელ დასახლებებში აწარმოებდნენ და ყიდდნენ კავკასიაში იმ დროისათვის არატიპურ ოთხთვლიან საზიდრებს.

მე-19 საუკუნის შუა ხანებიდან გერმანული თემების სწრაფმა აღმავლობამ და მათი ქალაქების ეკონომიკურმა ზრდამ განაპირობა შვილობილი დასახლებების დაარსება. ელიზაბეტთალის მცხოვრებლებისთვის 1857 წელს დაარსდა ალექსანდერსჰილფი, რომელმაც 1891 წელს უკვე თავად დააარსა ბლუმენტალი (კავთა, წალკის მუნიციპალიტეტი). დედობილი დასახლება ჰელენენდორფიდან 1866 წელს წარმოიშვა გეორგსფელდი. ისეთი ახალსახლობები, როგორიცაა გნადენბერგი, ნოიდორფი და ლინდაუ, ძირითადად



საქართველოს დამოუკიდებლობა

საქართველოს დამფუძნებელი კრება,—არჩეული პირდაპირი, თანასწორი, საყოველთაო, ფარული და პროპორციონალური საარჩევნო სისტემით ორივე სქესის მოქალაქეთა მიერ,—თავის პირველსავე სხდომაზე, 1919 წ. მარტის 12-ს, ქვეყნის და ისტორიის წინაშე აღიარებს, რომ ის სავსებით იღებს და ადასტურებს საქართველოს ეროვნულ საბჭოს მიერ 1918 წ. მაისის 26-ს, ნაშუადღევის 5 ს. და 10 წ. თბილისში გამოცხადებულს საქართველოს დამოუკიდებლობის შემდეგ აქტს:

საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი



Proclamation
de l'Indépendance de l'Azerbaidjan

Le 28 mai 1918 à Tiflis, le Conseil National de l'Azerbaidjan a publié le décret suivant sur l'indépendance de l'Azerbaidjan:

Dans le cours de la grande révolution russe a été établie en Russie une organisation politique qui a amené la séparation de diverses parties de l'organisme de l'Etat et l'abandon de la Transcaucasie par les troupes russes.

Laissés à leurs propres forces, les peuples de la Transcaucasie ont pris en main leur propre sort et ont fondé la République Démocratique Fédérative de la Transcaucasie. Pourtant dans le cours des événements politiques, le peuple géorgien a cru préférable de se séparer de la République Fédérative de la Transcaucasie et de former une République Démocratique Géorgienne particulière.

La situation politique actuelle de l'Azerbaidjan, liée avec la liquidation de la guerre entre la Russie et l'Empire Ottoman, et aussi l'anarchie inouïe dans l'intérieur du pays forcent l'Azerbaidjan, consistant dans la Transcaucasie orientale et méridionale, à reconnaître la nécessité d'organiser un Etat à lui, pour faire sortir les peuples de l'Azerbaidjan de la pénible situation intérieure et extérieure où ils se trouvent.

Considérant cela, le Conseil National de l'Azerbaidjan élu par le suffrage populaire, proclame au nom du peuple ce qui suit:

1 A partir d'aujourd'hui, les peuples de l'Azerbaidjan jouissent des droits souverains & l'Azerbaidjan, composé de la Transcaucasie orientale & méridionale forme un état indépendant, jouissant de tous les droits d'un Etat.
2 La forme de l'organisation de l'Azerbaidjan indépendant est la République Démocratique.
3 La République Démocratique de l'Azerbaidjan s'efforcera d'établir des rapports de bon voisinage avec tous les Etats & particulièrement avec les peuples & Etats limitrophes.
4 La République Démocratique de l'Azerbaidjan garantit sur son territoire les droits civils & politiques à tous les citoyens, sans distinction de nationalité, de religion, de position sociale et de sexe.
5 La République Démocratique de l'Azerbaidjan accorde à toutes les nationalités peuplant son territoire toutes les facilités pour se développer librement.
6 Jusqu'à la Convocation de l'Assemblée Constituante, à la tête de l'administration de tout l'Azerbaidjan se trouve le Conseil National, élu au suffrage universel et le Gouvernement Provisoire, responsable devant l'Assemblée Nationale.

საქართველოსა და აზერბაიჯანის დამოუკიდებლობის დეკლარაციები, 1918 წლის 26, შესაბამისად, 28 მაისი

ბალტიისპირელი გერმანელებისაგან გაჩნდა ქ. სოხუმის საიხლოვეს 1879-1884 წლებში. ეს პროცესი გაგრძელდა 1920-იან წლებამდე. დღეს, საქართველოში, არქიტექტურული მემკვიდრეობის მიხედვით, სულ 23 გერმანული დასახლება და ალექსანდერ ფონ კუჩენბახის ერთი ინდუსტრიული სოფელია იდენტიფიცირებული. აზერბაიჯანში კი, გარდა მისი დედაქალაქის, ბაქოს გერმანული კვალისა, კიდევ თორმეტი ადგილი მოინიშნება დედობილი თუ შვილობილი დასახლებების სახით.

მსოფლიო ომებს, რევოლუციებსა და საბჭოთა კავშირის ანექსიას რთული დრო და უკიდურესი გაჭირვება მოჰყვა

მეფის ქვეშევრდომობის ქვეშ ყოფნის მიუხედავად, უკვე პირველმა მსოფლიო ომმა მოუტანა რუსეთის იმპერიაში მცხოვრებ გერმანელებს უამრავი სირთულე და წარუმატებლობა. ასე, მაგალითად, აიკრძალა 1906 წელს თბილისში დაარსებული გერმანულ-ენოვანი გაზეთის "კავკასიის ფოსტა", გამოცემა, ხოლო დასახლებების სახელები რუსიფიცირებული გახადეს. აღმოსავლეთის ფრონტზე გერმანიის იმპერიის წინსვლისას რუსეთის მთავრობა გეგმავდა გერმანელების ექსპროპრიაციას, თუმცა ეს გეგმა 1917 წლის თებერვლის რევოლუციისა და ცარისტული იმპერიის დასასრულის ფონზე ჩავარდა.

1918-1921 წლებში აზერბაიჯანმა და საქართველომ მცირე ხნით მოიპოვეს პირველი დამოუკიდებლობა. გერმანიამ დიდი წვლილი შეიტანა ამ საქმეში: მან დე ფაქტო აღიარა 1918 წლის 26 მაისს ახლად დაარსებული საქართველოს სახელმწიფო. სამხედრო-დიპლომატიური მისიის ფარგლებში, გენერალ ბარონ-ფრაიჰერ ფრიდრიხ კრეს ფონ კრესენშტაინის (1870-1948) მეთაურობით, სომხეთისა და ოსმალეთის იმპერიის მიმართ საქართველოს ტერიტორიული მოთხოვნების გასატარებლად, გერმანიამ ჯარები შემოიყვანა საქართველოში. თუმცა, რა თქმა უნდა, თავის მხრივ, გერმანიის იმპერიას გააჩნდა საკუთარი ეკონომიკური ინტერესებიც: ადგილობრივი ნედლეული, როგორიცაა, მაგალითად, მანგანუმის საბადო, სჭირდებოდა ფოლადის გადამუშავებისთვის, სარკინიგზო კავშირს ბაქოდან შავ ზღვამდე უნდა უზრუნველეყო ნავთობის იმპორტი.

1918 წლის 28 მაისს აზერბაიჯანმა დამოუკიდებლობა გამოაცხადა. გერმანელი ახალმოშენეების უმეტესობა სიმპათიით იყო განწყობილი ახალი აზერბაიჯანის დემოკრატიული რესპუბლიკის მიმართ. ახალი კონსტიტუცია უმცირესობაში მყოფ გერმანელებს სხვა საკითხებთან ერთად, სულ მცირე ერთ ადგილს პარლამენტში და საკუთრების დაცვის გარანტიას ანიჭებდა. გერმანელ კოლონისტებს ორი წარმომადგენელი ჰყავდათ ასევე საქართველოს რესპუბლიკის დამფუძნებელ კრებაში. თუმცა აზერბაიჯანი (1920) და საქართველო (1921) მალე საბჭოთა წითელმა არმიამ დაიპყრო. ეს კი გერმანელი ახალმოსახლეების ჩვეული ცხოვრების დასასრულს ნიშნავდა: მათ ჩამოერთვათ ქონება, ჩამოერთვათ სამოქალაქო უფლებები და შეეზღუდათ თვითმმართველობა. 1920-იანი წლების ახალი ეკონომიკური პოლიტიკის დროს გერმანელ ახალმოსახლეებს ჰქონდათ ეკონომიკური აღმავლობის კიდევ ერთი მოკლე ეტაპი, თუმცა ათწლეულის ბოლოს ეს პროცესი დაასრულა კოლექტივიზაციისა და რეპრესიების პოლიტიკამ. სტალინური რეჟიმის ტერორმა მძიმე დარტყმა მიაყენა ორივე საბჭოთა რესპუბლიკას და საშინელი ტანჯვა მოუვლინა რეგიონის გერმანელ მოსახლეობასაც. უამრავი გერმანელი გაასამართლეს საჩვენებელ სასამართლო პროცესებზე, დააპატიმრეს, გაგზავნეს შრომით ბანაკებსა (გულაგებში) და "შრომის არმიაში" ან დახვრიტეს.

სამწუხარო რეალობა: ახალი კავკასიური სამშობლოს დაკარგვა

გერმანელებმა კიდევ უფრო მეტი ტანჯვა-წამება გამოიარეს მას შემდეგ, რაც ნაცისტური გერმანია თავს დაესხა საბჭოთა კავშირს 1941 წლის ივნისში. 1941 წლის ოქტომბრის „საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკებიდან გერმანელების გადმოსახლების" შესახებ დადგენილების თანახმად, საქართველოდან 23 580, აზერბაიჯანიდან 22 741 და სომხეთიდან 212 ადამიანს სამხედრო ზედამხედველობის ქვეშ დაათმობინეს საკუთარი ქონება, გარდა „სატრანსპორტო ბარგისა". ისინი თბილისისა და ბაქოს გავლით ყაზახეთში გადაასახლეს. უკვე აგვისტოში მათაც ვოლგისპირეთიდან დეპორტირებული გერმანელების ბედი გაიზიარეს. დარჩენა შეეძლოთ მხოლოდ ქორწინებაში მყოფ იმ ქალებს, რომლებიც არაგერმანული ოჯახებიდან იყვნენ. არაგერმანელი ქალები, რომლებიც გერმანელებზე იყვნენ დაქორწინებული, არჩევანის წინაშე დააყენეს: მიეტოვებინათ ქმრები ან მათთან ერთად დეპორტაციას დაქვემდებარებოდნენ. ბავშვებსა და მოზარდებს, რომლებსაც გერმანელი მამები და არაგერმანელი დედები ჰყავდათ, ნება დართეს 16 წლამდე

რესტავრირებული სახლი ასურეთში

დარჩენილიყვნენ დედასთან, შემდგომ კი ისინიც დეპორტაციას ექვემდებარებოდნენ. არასრულფასოვანი კვება, ავადმყოფობა და სიკვდილი, ასიათასობით საბჭოთა გერმანული ოჯახის განცალკევება, ათიათასობით ბავშვის ობლობა და სრული უუფლებობა იყო ამ ძალადობრივი აქტის შედეგი. გერმანელთა დიდი ნაწილი გზაშივე დაიღუპა, ბევრიც მოგვიანებით შრომით ბანაკებში გარდაიცვალა.

საქართველოსა და აზერბაიჯანში მცხოვრებ გერმანელთა უმრავლესობას არასოდეს ენახა გერმანია და მხოლოდ ისტორიიდან იცნობდა ძველ სამშობლოს. ეს ხალხი 100 წელზე მეტ ხანს ცხოვრობდა ქვეყნებში, რომლებიც მათთვის ახალ სამშობლოდ იქცა. ახლა კი ისინი აქედან უნდა წასულიყვნენ, მიეტოვებინათ საკუთარი სოფლები, ბაღები, ვენახები და წინაპართა საფლავები. დეპორტირებულთა სულისშემძვრელი ტრაგედიები და განცდილი ტკივილები შთამომავლებისთვის ცნობილი გახდა სხვადასხვა წყაროებიდან: მათი ჩანაწერებიდან, ლექსებიდან და წიგნებიდან. მაგალითისთვის გთავაზობთ ამონარიდს კატარინენფელდელი გერმანელის, ერნსტ ალმენდინგერის წიგნიდან:

„...იქ, შორს სამხრეთით, ველურ კავკასიაში,
სადაც ანკარა მდინარე ხავსიანი კლდიდან ეშვება,
სადაც ამაყად დგანან ციხენი,
სადაც ბევრი რამ ძველ ქვებს შემოუნახავთ,
დიახ, იქ იყო ჩემი სამშობლო,
სადაც ჩვენი მამების აკვანი დაირწა,
მთებს შორის იდგა ჩემი მშობლების სახლი.
იქ იყო ჩემი სამშობლო, იქ იყო ჩემი შინ...“

ომის დასრულების შემდეგ მხოლოდ რამდენიმე გერმანელს მიეცა საშუალება დაბრუნებულიყო კავკასიურ სამშობლოში, რადგან მესამე რაიხის დაშლის შემდგომ დაბრუნების თაობაზე თავდაპირველი იმედები ტყუილი გამოდგა. 1948 წელს მათ ჩამოერთვათ დაბრუნების უფლება. სპეციალური დასახლებების სისტემა კომენდანტების მეთვალყურეობის ქვეშ დარჩა. მხოლოდ 1955 წელს, გერმანიის ფედერალურ მთავრობასთან მოლაპარაკების შედეგად, სსრკ-ის მთავრობამ გადაწყვიტა გაეუქმებინა სპეციალური დასახლებების სტატუსი ყველა დეპორტირებული და "რეპატრირებული საბჭოთა გერმანელის მიმართ", თუმცა მათ უარი განუცხადეს ომამდელ სახლებში დაბრუნებაზე.

„საბჭოთა გერმანელების“ რეაბილიტაცია 1964 წლის აგვისტოში განხორციელდა უმაღლესი საბჭოს დადგენილებით, რომელიც მაშინ არ გამოქვეყნებულა. დაბრუნების უფლებები შეზღუდული იყო და ის მხოლოდ 1972 წლის ბოლოს, უზენაესი საბჭოს დადგენილებით გაუქმდა.

1998 წელს საქართველოს მთავრობამ ოფიციალური რეაბილიტაცია მოახდინა ყველა იმ გერმანელისა, რომლებიც სტალინის პოლიტიკას ემსხვერპლნენ და საქართველოში დარჩნენ.

ისტორიის განახლება და ჩამოსახლებული გერმანელების არქიტექტურა

ფართო საზოგადოებისათვის კავკასიელი გერმანელების ისტორია და არქიტექტურა თითქმის არ იყო ცნობილი. ამიტომაც, გერმანული კულტურული მემკვიდრეობის კვლევისა და გადარჩენის მიზნით, 2014 წელს, თბილისში დაარსდა სამხრეთ კავკასიაში გერმანული კულტურული მემკვიდრეობის დაცვის კავშირი. სხვა ამოცანებთან ერთად, კავშირმა მიზნად დაისახა, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს დავალებით, საქართველოში ჩაეტარებინა არსებული გერმანული კულტურული მემკვიდრეობის სრული ინვენტარიზაცია. სწორედ ეს გახდა 2015 წელს საზოგადოების გასათვითცნობიერებელი სამუშაოების დაწყების საფუძველი: ევროპის საბჭოს ხელშეწყობით გერმანელების ყოფილ დასახლებებში განთავსდა საინფორმაციო დაფები და საგზაო ნიშნები ამ ადგილებში მცხოვრებ გერმანელთა ისტორიის შესახებ. გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს მხარდაჭერით, 2017 წელს სამხრეთ კავკასიაში გერმანული კულტურული მემკვიდრეობის დაცვის კავშირმა ალექსანდერჰილში (ახლანდელი დაბა თრიალეთი, წალკის მუნიციპალიტეტი) რესტავრაცია ჩაუტარა ევანგელურ-ლუთერული ეკლესიის სახურავს. გარდა ამისა, კავშირის მიერ ჩატარებული კვლევებისა და პროექტების მიხედვით, 2016-2019 წლებში, საქართველოს მთავრობამ აღადგინა ელიზაბეტთალის მთავარი ქუჩა: სრულად განახლდა საგზაო ინფრასტრუქტურა და მოხდა ისტორიული ღობეებისა და ჭიშკრების რესტავრაცია. ასევე, რესტავრირდა ევანგელურ-ლუთერული ეკლესია, სამი გერმანული საცხოვრებელი სახლი და ისტორიული გერმანული 2020 წლიდან, ბოლნისის ახალი, რეგიონული მუზეუმის მუდმივ ექსპოზიციაშია გერმანული კოლონიების ისტორია. 2019-2021 წლებში გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს, ბოლნისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ხელშეწყობით, კავშირმა რესტავრაცია ჩაუტარა ყოფილ გერმანულ სათემო სახლს, სადაც ახლა საზოგადოებრივი ორგანიზაცია - რეგიონის კულტურის ცენტრია განთავსებული. ამჟამად, კავშირი ახორციელებს ცნობილი გერმანელი მწერლისა და მასწავლებლის, იმანუილ ვალკერის (Imanuel Waker, 1871-1953), საცხოვრებელი სახლის რესტავრაცია-ადაპტაციას ბოლნისში, სადაც მომავალში „ქართულ-გერმანული ღვინის სახლი“ დაიდებს ბინას.

ვერნერ სიმენსის ოჯახი

ბარონ კუჩენბახის ვიზიტი ყარაბულახის ყველის საწარმოში (PSA)

გერმანული მემკვიდრეობა აზერბაიჯანშიც დაცულია: ევანგელურ-ლუთერული ეკლესია ბაქოში, 28 მაისის ქუჩაზე, ამჟამად საკონცერტო დარბაზის ფუნქციას ასრულებს და გამოიყენება საეკლესიო მსახურებისთვისაც. ეკლესიის გვერდით მდებარეობს სამლოცველო სახლი, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში არ ფუნქციონირებდა. 1990-იან წლებში მომხდარი ხანძრის შემდეგ, კომპანია Winterhall-ის მიერ გაღებული შემოწირულობით, შესაძლებელი გახდა ამ ისტორიული ნაგებობის რესტავრაცია. დღეს იქ გოეთეს ცენტრი მდებარეობს და კონცერტები, გამოფენები, ფილმების ჩვენება ან გერმანული საშობაო ბაზრობები იმართება.

1994 წელს, ბაქოში გერმანული მემკვიდრეობის კვლევისა და მზრუნველობის სამუშაო ჯგუფის შექმნას, 2005 წელს მოჰყვა კულტურისა და მეცნიერების ასოციაცია EuroKaukAsia e. V.-ს დაარსება. ასოციაცია განსაკუთრებულად ზრუნავს სამხრეთ კავკასიაში გერმანული მემკვიდრეობის კვლევასა და დაცვაზე. გერმანული ეკლესია ყოფილ ჰელენენდორფში 2008 წელს ფედერალური მთავრობის ფინანსური მხარდაჭერითა და GTZ-ის, ახლა უკვე GIZ-ისა და EuroKaukAsia e. V. -ს დახმარებით აღდგა და დღეს იქ კულტურის ცენტრია განთავსებული. 2016 წელს აზერბაიჯანის კულტურისა და ტურიზმის სამინისტროს დაკვეთით, გერმანული მემკვიდრეობის ტურისტული ღირებულების გაზრდის მიზნით შემუშავდა გენერალური გეგმა. ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში განახლდა მრავალი გერმანული სახლი და ქუჩა. ასევე გარემონტდა გერმანული ეკლესია და არაერთი საცხოვრებელი სახლი შამკირში. გერმანული წარმოშობის უკანასკნელი მცხოვრების, 2007 წელს გარდაცვლილი ვიქტორ კლაინის საცხოვრებელი სახლი ჰელენენდორფში (ახლანდელი გოილგოილი), უახლოეს წლებში EuroKaukAsia e-ს კონცეფციის მიხედვითა და GIZ-ის მხარდაჭერით და გადაკეთდება მუზეუმად. ჰელენდორფში ყოფილი კოოპერატივის „კონკორდიას“, ადგილზე უკვე შენდება „ღვინის მუზეუმი“. პარალელურად მუშავდება Gäncäbasar მუზეუმის კონცეფცია მთელი რეგიონისთვის, რომელიც გარდა აზერბაიჯანისა, მოიცავს გერმანულ დასახლებებს საქართველოშიც.

კონკრეტული ისტორიები - ცნობილი გერმანელი მეწარმეების ოჯახები სამხრეთ კავკასიაში

სიმენსების ოჯახი

ვერნერ ფონ სიმენსის ორი ძმა, კომპანია „Telegraphenbauanstalt Siemens & Halske“-ის (1847) თანადამფუძნებლები, მრავალი წლის განმავლობაში მუშაობდნენ კომპანიის წარმომადგენლებად საქართველოში. ძმები ვალტერი და ოტო თბილისში, სადოვაიას ქუჩის N30-ში (ახლა ლადო ასათიანის ქუჩა) ცხოვრობდნენ. ისინი ერთმანეთის მიყოლებით იყვნენ ჩრდილოეთ გერმანიის კონფედერაციის კონსულები. ძმების სახელს უკავშირდება 1850-იან და 1870-იან წლებში ადგილობრივი და საერთაშორისო სატელეგრაფო ხაზების გაყვანა. სიმენსები წარმატებით უძღვებოდნენ კავკასიაში სამთამადნო მრეწველობასთან დაკავშირებულ საქმიანობასაც. ინგლისის მთავრობის დავალებით კომპანია Siemens-ი ხელმძღვანელობდა იმ დროისთვის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან საერთაშორისო პროექტს: ლონდონსა და კალკუტას შორის 11 000 კილომეტრი სიგრძის ინდოევროპული სატელეგრაფო ხაზის მშენებლობას.

ეს ხაზი, რომელიც 1870 წლის იანვარში გაიხსნა და სოხუმის, ზუგდიდის, ქუთაისის, თბილისისა და ერევნის გავლით მიედინებოდა, შემდგომ წლებში კიდევ უფრო გაფართოვდა და მთელი კავკასია მოიცვა. სამშენებლო, უპირველეს ყოვლისა კი, ტექნიკური მომსახურების კონტრაქტებმა უზრუნველყო Siemens & Halske-ს დიდი მოგება, რაც ძმების მიერ ისევ კავკასიის საწარმოებში იქნა ინვესტირებული.1864 წელს მათ შეიძინეს სპილენძის მაღაროს განვითარების უფლებები ქედაბეგში (ახლანდელი აზერბაიჯანი), 1865-1868 წლებში - კობალტისა და რკინის მადნის მაღაროებისა დაშქესანში (ქედაბეგიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით 40 კმ-ის დაშორებით), 1879 წელს კი კალაქენტში ააშენეს სპილენძის ქარხანა, რომელიც ქედაბეგს სარკინიგზო გზით უკავშირდებოდა.

რეგიონში დაინერგა არაერთი გამოგონება: 1866 წელს ვერნერ ფონ სიმენსმა აღმოაჩინა დინამო-ელექტრული პრინციპი, რის შემდეგაც დაიწყო მაღალი ძაბვის ტექნოლოგიების განვითარება. „ცარსკიე კოლოდეცი“-ში

ძმების საქმიანობის მიზანი ნავთობისა და გზების მშენებლობისთვის ასფალტის მოპოვება იყო. დაიხვეწა სპილენძის წარმოებისთვის ელექტროლიზის მეთოდები, 1889 წელს კომპანიამ მიიღო პირველი მილსადენის მშენებლობის უფლება მანესმანის მილებით დალჯარიდან ქედაბეგამდე (დაახლოებით 45 კმ). ამ ფაქტმა გადამწყვეტი როლი შეასრულა კომპანიის საქმიანობაში და 1890-იანი წლებიდან ის ჩაერთო ბაქოს ნავთობის საბადოების ელექტრიფიკაციის საქმეში. სატუმბი სისტემებისა და უწყვეტი მილების გამოცდილება გამოყენებულ იქნა იმ დროისთვის მსოფლიოში ყველაზე გრძელი ნავთობსადენის მშენებლობაში. ნავთობსადენი კასპიის ზღვაზე მდებარე ბაქოს აკავშირებდა შავი ზღვის ქალაქ ბათუმთან.

ძმები ვალტერ და ოტო სიმენსები დაკრძალული არიან თბილისში, ვერის ძველ სასაფლაოზე (ფილარმონიის მოპირდაპირე მხარეს), სადაც ახლა საზოგადოებრივი პარკი მდებარეობს.

კუჩენბახის ოჯახი

ბარონი ალექსანდერ ფონ კუჩენბახი (1835-1909) სკოლის მეგობარ ვერნერ ფონ სიმენსის რჩევით ეწვია საქართველოს. მან 1860-იან წლებში ჯერ თბილისის მახლობლად, შემდეგ კი მამუთლოში (სოფელი მთისძირი დმანისის მუნიციპალიტეტში), დააარსა შვეიცარიული ყველის ქარხნები. 1870 წლიდან ქარხანას უკვე ჰყავდა ხუთი შვეიცარიელ-გერმანელი ოსტატი და 15 ქართველი თანამშრომელი, სადაც, გარდა შვეიცარიული ყველისა, ამზადებდნენ კარაქს, რძის სხვა პროდუქტებს, თაფლსა და სანთელს. თავდაპირველად, კუჩენბახის თანამშრომლის, შემდეგ კი პარტნიორის რანგში, ობერლანდელმა ამეტერის ოჯახმა ააშენა ყველის დიდი საწარმო, ხოლო ემენტალელმა ზიგენტალერის ოჯახმა, გარდა ყველის წარმოებისა, დიდი საფუტკრეც მოაწყო. მე-20 საუკუნის დასაწყისში მეფუტკრეობა მათ საოჯახო ბიზნესად აქციეს და ჰელენენდორფის მახლობლად, ტოდანში გადაიტანეს.

კუჩენბახის რძისა თუ ყველის ქარხნებში წარმოებული „შვეიცარიული ყველი“ საყოველთაოდ ცნობილი გახდა, მეფუტკრეობიდან მიღებული შემოსავალი კი ყოველწლიურად იმდენად მაღალი იყო, რომ მალე ამ სფეროში საქმიანობას ადგილობრივმა მეზობლებმაც მიჰყვეს ხელი. როგორც იმდროინდელი გაზეთები იუწყებიან, 1882 წელს მოსკოვში გამართულ გამოფენაზე ექსპერტებს უჭირდათ იმის დაჯერება, რომ "ასეთ ველურ ქვეყანაში" ასეთი შესანიშნავი პროდუქტი მზადდებოდა. სწორედ ამ მიზეზით, კუჩენბახი თაღლითობაში დაადანაშაულეს და გამოფენიდან მოხსნეს.

კუჩენბახმა ასევე დიდი წვლილი შეიტანა საქართველოში მინის მრეწველობის განვითარებაში. 1879 წელს მან მინის ქარხნის მშენებლობა დაიწყო და 1882 წელს პირველი პროდუქცია გამოუშვა. ქარხანა იყენებდა ძმები სიმენსების მიერ დამზადებულ გაზზე მომუშავე სპეციალურ გენერატორებს. მინა იმდენად

ძმები ფორერების ოჯახები, დაახლოებით 1914 წელი (ფორერების საოჯახო არქივი/PSA)

მაღალი ხარისხის იყო, რომ იმავე წელს თბილისში მცხოვრებმა გერმანელმა ლუდის მწარმოებელმა და სასტუმროს მფლობელმა ფრიდრიხ ვეტცელმა თავისი ლუდი რუსეთში გამართულ გამოფენაზე კუჩენბახის მიერ დამზადებულ ბოთლებში წარმოადგინა. კომპანიები Hummel და Vohrer-ი კუჩენბახის ბოთლებს ასევე იყენებდნენ ლუდის, ლიმონათისა და ალკოჰოლური სასმელების ჩამოსასხმელად. ქარხანაში სულ 70 ადამიანი იყო დასაქმებული, მათ შორის ოცი გერმანელი და ავსტრიელი სპეციალისტი. მიმდებარე დასახლებაში ყველას ჰქონდა თავისი სახლი; ჰქონდათ სკოლაც, სადაც ერთად სწავლობდნენ სხვადასხვა ეროვნების მუშათა შვილები. თავად კუჩენბახი დასახლებასა და ქარხანას „ალექსანდერჰიუტეს“ უწოდებდა. ეს ადგილი საქართველოს 1927 წლის რუკაზე მოხსენიებულია, როგორც "ალექსანდრეს მინის ქარხანა". დღეს მისი კვალი უკვე აღარ არსებობს.

კუჩენბახის ვაჟი, კურტი, იყო გერმანულ-კავკასიური გაზეთის, „კავკასიის ფოსტის“, ერთ-ერთი დამფუძნებელი. გაზეთი 1906 წლიდან გამოდიოდა თბილისში საქართველოს დიდი მეგობრის, გერმანელი მწერლისა და მთარგმნელის, არტურ ლაისტის, რედაქტორობით. რუსეთის იმპერატორის ბრძანებით, ალექსანდრე და კურტ კუჩენბახებს 1891 წლის 29 მაისს საქართველოში სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის გაუმჯობესების საქმეში გაწეული სამსახურისთვის რუსეთის ტახტის აზნაურის წოდება მიანიჭეს და მათი სახელები თბილისის ადმინისტრაციული ოლქის თავადაზნაურთა რეესტრში შეიტანეს.

ძმები ჰუმელების ოჯახები, 1914 წლამდე პერიოდი (ჰუმელების კერძო საოჯახო არქივი/PSA)

საოჯახო ბიზნესი "ფორერი" და "ჰუმელი"

პირველი მსოფლიო ომის დასაწყისში ამიერკავკასიის გერმანული სოფლები დაახლოებით 28 მილიონ ლიტრ ღვინოს აწარმოებდნენ, რაც იმას ნიშნავს, რომ მათი წილი რუსეთის ღვინის მთლიან წარმოებაში 8 %-ს აღემატებოდა. გერმანელი კოლონისტური სოფლების მიერ წელიწადში რეალიზებული ღვინის 50%, ანუ რუსეთში ღვინის მთლიანი ვაჭრობის 4%, მოდიოდა ჰელენენდორფში მდებარე „ფორერისა“ და „ჰუმელის“ ორ სავაჭრო სახლზე (თითქმის 12,3 მილიონი ლიტრი ღვინის წლიური ბრუნვით).

ფორერის კომპანია იყო ერთ-ერთი უდიდესი მევენახეობა-მეღვინეობის სავაჭრო კომპანია მთელს მეფის რუსეთში. 1846 წელს კრისტოფ ფორერმა დაახლოებით ერთ ჰექტარზე გააშენა ვენახი. მან ისეთი ჯიში შეარჩია, რომელიც კარგად იყო ადაპტირებული რეგიონის კლიმატურ პირობებთან. 1856 წელს ფორერის ღვინომ უკვე მიიქცია ფრანგ აბრეშუმით მოვაჭრეთა ყურადღება. მეღვინეობის ბიზნესით ის მხოლოდ 1860 წლიდან დაკავდა. მანამდე, ფულადი სახსრების მუდმივი დეფიციტის გამო, ხან მეწაღედ მუშაობდა, ხანაც ფოსტალიონად და მებორნედ. 1862 წელს ფორერმა დააარსა სააქციო საზოგადოება, 1868 წელს კი გახსნა ლუდის სახარში ქარხანა ელიზავეტპოლის ოლქში, თუმცა ლუდის წარმოება მისთვის მუდამ მეორეხარისხოვან საქმიანობად რჩებოდა. 1870 წელს კრისტოფ ფორერმა თავის ოთხ ვაჟთან ერთად დააარსა საგვარეულო კომპანია - "ფორერი და მისი ვაჟები". კომპანიის პროდუქციის მაღალ ხარისხზე მეტყველებდა საერთაშორისო გამოფენებზე მიღებული მრავალი ჯილდო. საქვეყნოდ იყო ცნობილი ფორერის სანიმუშო მამული კარაერი: 1886 წელს ფორერებმა შეიძინეს მიწა, რომელიც იქცა იმ დროისათვის რუსეთის იმპერიაში ნაწარმის ტესტირებისა და ნიმუშების ერთ-ერთი წამყვან ობიექტად. მიწის დამუშავებისას ფორერი იყენებდა ტრადიციულ ირიგაციას (Kähriz), არჩევდა ახალ ჯიშებს, იყენებდა გამრავლებისა და მავნებლების წინააღმდეგ ბრძოლის ახალ-ახალ მეთოდებს.

მეორე მეწარმის, კერძოდ ჰუმელის ოჯახი, ასევე მიეკუთვნებოდა კოლონიის წამყვან ოჯახებს. სარფიანი ქორწინების მეშვეობით ჰუმელმა თავის მფლობელობაში მოაქცია რამდენიმე ფერმა კუთვნილი მიწებით. 1878 წელს ოთხმა ძმამ პირველი საკუთარი ფართო მოცულობითი ვენახები გააშენეს, 1883 წელს მოაწყვეს ღვინის მარანი და დაიწყეს ჩამოსასხმელი ღვინით ვაჭრობა ბაქოსა და თბილისის მიმართულებით. ჩამოსასხმელი ღვინის ბიზნესის წყალობით არა მხოლოდ საკუთარი სარდაფები მარაგდებოდა, არამედ დამატებითი შემოსავალიც იქმნებოდა ახალი მიწების შესაძენად. 1895 წელს ძმებ ჰუმელებს უკვე ჰქონდათ ასეთი ბიზნესი რამდენიმე დამატებითი ვენახით დედა-კოლონიაში და კიდევ ერთი ვენახი თავისი დიდი მარნით ელიზავეტპოლში.

ნამდვილი ეკონომიკური გარღვევა 1895 წელს ჰელენენდორფში კონიაკის ქარხნის მშენებლობით დაიწყო. ბაქო-თბილისის სარკინიგზო მაგისტრალზე შემსყიდველი პუნქტების შექმნით, გაჩნდა ბიზნესის მძლავრი აღმავლობის შესაძლებლობა. ფორერების ოჯახის მსგავსად, ჰუმელებმა თანდათანობით ყურძენის შესყიდვა დაიწყეს არა მხოლოდ გერმანელი კოლონისტებისაგან, არამედ აზერბაიჯანული და სომხური დასახლებებიდანაც. 1899-1900 წლებში "ძმები ჰუმელების" კონიაკებმა და ღვინოებმაც მიიღო საერთაშორისო ჯილდოები. გადაწყვეტილება, 1900 წლიდან კომპანიის ყველა ფილიალი გაეერთიანებინათ "Gebrüder Hummel სავაჭრო სახლში" (კულტივირება, გადამუშავება, რეალიზაცია), სასიკეთო აღმოჩნდა. კაპიტალის შერწყმამ დამატებითი ტერიტორიების შეძენისა და სულ უფრო და უფრო მეტი ვაზის უცხოური ჯიშის გაშენების შესაძლებლობა გააჩინა ასევე ანენფელდის (ახლანდელი შამკირი) მახლობლად. ვაზის ჯიშების შერჩევისა და მავნებლების წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებში ახალმა მიგნებებმა და ინვესტიციებმა ღვინის დაწურვის თანამედროვე ტექნოლოგიებში, გაზარდა მოსავლიანობა და გააუმჯობესა ღვინის ხარისხი. ყურძნის ნარჩენები იყიდებოდა როგორც საღებავი ან ნედლეული პრინტერის საღებავისთვის.

ფორერების კომპანიის მსგავსად, საოჯახო ბიზნესში გაყიდვების დიდ ნაწილს ჰუმელების კომპანიაც საკუთარი 39 კომერციული სააგენტოს მეშვეობით ახორციელებდა რუსეთის იმპერიის გუბერნიებში. გასაბჭოებასთან ერთად, ექსპროპრირებულმა საოჯახო ბიზნესმა საფუძველი ჩაუყარა ძლიერ და წარმატებულ კოოპერატივ „კონკორდიას“, რომელიც 1935 წელს დაიშალა. 1941 წლის ოქტომბერში კავკასიელი გერმანელების შუა აზიაში დეპორტაციამ სრულად შეწყვიტა გერმანელთა ეკონომიკური და კულტურული ცხოვრება.

გერმანული დასახლებები სამხრეთ კავკასიაში

საქართველო

ადგილის სახელი (წინათ)	ადგილის სახელი (ახლა)
მარიენფელდი	სართიჭალა, გარდაბნის მუნიციპალიტეტი
ახალი თბილისი	აღმაშენებლის გამზ. და მისი მომიჯნავე ქუჩები
ალექსანდერსდორფი	წყალტუბოს, სამტრედიის, აგლაძის ქუჩები დიდუბის რაიონში, თბილისი
ელიზაბეტთალი	ასურეთი, თეთრიწყაროს რაიონი
პეტერსდორფი	სართიჭალა, გარდაბნის მუნიციპალიტეტი
კატარინენფელდი	ბოლნისი
ალექსანდერსჰილფი	დაბა თრიალეთი, წალკის მუნიციპალიტეტი
ტრაუბენბერგი	სოფელი თამარისი, მარნეულის მუნიციპალიტეტი

აზერბაიჯანი

ადგილის სახელი (წინათ)	ადგილის სახელი* (ახლა)
ძველი კატარინენფელდი	შამქორის მახლობლად, მიტოვებული 1819-20 წლებში დაარსებული კატარინენფელდის გამო (ბოლნისი, საქართველო)
ანენფელდი**	შამქორი
ჰელენენდორფი**	გოიგოილი
გეორგსფელდი	ჩინარლი
აიგენფელდი	ირმაშლი
ალექსანდერფელდი	ჰასანსუ
ტრაუბენფელდი	თოვრუზი
გრიუნფელდი	ვურგუნ
ელიზაბეთტალი	ჩატაი

* ადგილის სახელწოდება გერმანულად შეიძლება განსხვავდებოდეს ახლანდელი დასახელებისგან.

** არსებობს ცალკე გამოცემული ბროშურები ამ დასახლებათა შესახებ, სადაც შეიძლება დამატებითი ინფორმაციის მოძიება.

გამომცემელი:
გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ),
გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების
ფედერალური სამინისტროს (BMZ) სახელით

რეგისტრირებული ოფისები:
ბონი და ეშბორნი, გერმანია
T +49 61 96 79-0
F +49 61 96 79-11 15
E info@giz.de
I www.giz.de

კერძო სექტორის განვითარება და
პროფესიული განათლება სამხრეთ კავკასიაში
რუსთაველის გამზირი Nr.42/გრიბოედოის ქუჩა 31ა,
0108 თბილისი, საქართველო
T +995 32 2201833
E giz-georgia@giz.de
I www.giz.de